



JUDICIAL DECISION-MAKING IN ELECTION DISPUTES WITHIN THE UNITED STATES

One Judge's Experiences and Observations

Kenneth L. Fields

*Judge of the Superior Court of Arizona, Arbitrator & Mediator, University of Kentucky,
Doctor of Jurisprudence, University of Kentucky*

ABSTRACT

The courts in the United States are called upon annually to determine partisan political disputes. The recent lawsuits on the 2020 presidential election in the US has gained significant attention. It is acknowledged that court decisions must be made in order to uphold the rule of law, regardless of the political affiliation of judges. Without any doubt, considering the sensitivity of the cases due to the political background, relevant approach is needed for judicial decisions to be made. Therefore, the process of decision making must encompass relevant observations and be based on the experiences of the judge, as well as, strong intuitive senses of case evaluation may be of crucial importance. This may lead to the need of specific recommendations in order to maintain relevant approach and standard.

KEYWORDS: Judge, Constitution, Election

The recent avalanche of lawsuits both in the federal courts of the United States and numerous state courts in the 2020 presidential election has focused attention on decision making in partisan election disputes. Despite the publicity, this is not an unusual process for the courts of the United States. The courts are called upon annually to determine partisan political disputes. This article will discuss the observations, experiences, and opinions of one state court trial judge in the United States and suggest an approach to judicial decision making in politically sensitive cases.

As may be noted by observers, the decisions by United States courts, both state and federal, since the elections of November 3, 2020, have been consistent in their decisions to uphold the Rule of Law and not that of political party politics. The rulings have been consistent regardless of the political affiliation of the judges presiding over those cases and largely accepted as well as expected by the populace within the United States.

Interestingly over 60 court cases were filed by the various Trump organizations or Trump supporters in attempts to reverse the voters' decision after the U.S.

presidential election in November 2020. Many of these cases were in courts where the judges were subject to a re-election on a partisan ballot. Not one case was successful. In this writer's opinion, this demonstrates a strong commitment by the judges, both state and federal, to the rule of law and not rule by the strongest political party or groups willing to use illegal means to gain political office. In the two Pennsylvania cases cited later in this article the decisions were written by judges selected and appointed by President Trump. Both judicial decisions were adverse to former President Trump and not complimentary to the legal theories espoused by the Trump organization/supporters.

Prior to this recent history of decisions in the 2020 elections, legal scholars questioned the neutrality of the judicial decision makers in these cases. A study of election cases from 2005-2014 discussed in a short internet article by the American Constitution Society written by Joanna Shepard and Michael S. Kang¹ re-

1 PARTISAN JUSTICE: How Campaign Money Politicizes Judicial Decisionmaking in Election Cases)

vealed statistics that would have predicted a different result in part. The study asked whether judges decide politically sensitive cases based upon partisan loyalties or the legal merits of the cases as election litigation has grown dramatically since 2000².

This article noted that state courts decide 100 million cases per year while the U.S. Supreme Court decides about 100 cases per year and that 90% of these state judges are elected. The findings from this study were:

1. Judges favor litigants from their own party in head-to-head cases.
2. Campaign finance exacerbates partisan behavior.
3. Judges are less likely to be partisan when they no longer need to run for office.
4. The problem of partisan decision making is arguably getting worse over time.

This writer agrees in part with the findings from this study and conclusions drawn by Professors Kang and Shepard. Specifically, that judges that do not have to run in partisan elections are less likely to be partisan and that election litigation is increasing in the United States. This concurrence is experiential and not based upon any statistical study.

This paper is based on my observations and experiences as a trial judge presiding over election cases in the state of Arizona. There is definitely political influence and public pressure placed upon judges deciding election disputes depending on the complexity of the case and significance of the political position at issue.

A simplified overview of the court system in the United States will assist the reader. Courts in the United States are divided generally into: Federal Courts, State Courts, Territorial Courts, and Tribal Courts for indigenous people. There are other specialty courts which will not be discussed here such as the military courts of appeal.

U.S. (Federal) Judges are appointed by the president and confirmed by the senate and serve for their life or until retirement. These federal judges are not subject to re-election or re-selection after appointment. There are Federal trial courts in each of the states and territories. Each state may have one or more U. S. districts. The Federal Courts have jurisdiction over disputes which are governed by federal Law or the U.S. Constitution. For example, the decision in Pennsylvania by a U. S. district judge regarding the case of President Trump against the secretary of the State of Pennsylvania was in the middle district of Pennsylvania which is within the State of Pennsylvania.³

2 Stanford Law Review, THE LONG SHADOW OF BUSH v. GORE, Judicial Partisanship in Election Cases, June 2016.

3 Donald J. Trump for President, Inc, et. al v. Kathy

The United States has state courts separate and independent from the federal courts presided over by judges such as myself. A state court judge generally has jurisdiction over all disputes arising within the State they serve.

One becomes a state court judge by many different methods. There are 50 States and over 50 methods of appointment to the state courts. Most judges in state courts are elected in partisan elections and generally the state judge must be re-elected periodically.

In my case, Arizona has two methods of selecting judges. We have 15 counties and in 12 of these 15 counties the judge has to take part in contested elections every four years and win a simple majority of the votes to continue as a judge. The judicial candidate has to collect election campaign funds usually from attorneys appearing before the court.

In three of these 15 countries and for the appellate courts, the judges are appointed by the governor after selection and nomination of a citizens nominating commission. The governor must select the Judge from this list and cannot reject the list of nominees. This process of selection of judges is called a merit-based selection. These merit selected judges must run for re-election in a non-contested approval election. At least 50% of the voters in the election must approve of the judge's selection for another term of office of four years or six years as an appellate judge.

Others states within the United States have versions of this judicial merit selection system. There are 16 states of 50 that use a form of merit selection/retention election for filling state judges' positions.

The U.S. Constitution leaves it to each state to determine how the time, place, and manner of elections for Senators and Representatives to the U.S. Congress may take place⁴. Since it is the state's determination, we have 50 different standards making it relatively difficult to corrupt elections in the United States.

Additionally, each of the 50 states and the District of Columbia must select electors for the president and vice president of United States as a part of the Electoral College. The decision by the state as to the presidential electors is conclusive regardless of selection method according to U.S. law.

Some examples from my service as a trial judge of cases relating to the election process are those regarding the qualification to vote, being a candidate for

Boockvar, et. al. cv-02078-MWB Document 202 Filed 11/21/20; see also, Donald J. Trump for President, Inc., et. al. v. Secretary Commonwealth of Pennsylvania, et. al., 20-3371, filed 11/27/2020, United States Court of Appeals for the Third Circuit.

4 U.S. Constitution, Article I, Section 4.

office, instances of misconduct at a polling place and determining the number of votes for candidates.

For a specific example, assume two candidates from one office receive the exact same number of votes, then there must be a method or decision providing for a winner. In the past, judges have allowed the election to be determined by either the toss of a coin or selecting the highest card from the 52 playing cards in a package of playing cards. The law now provides for a determination by drawing lots⁵.

Judges have to decide the boundaries for voting districts for elective offices for both state and federal elective offices every ten years.⁶ Mandates a census of the entire population be conducted every ten years from which each state's representatives in congress shall be apportioned. Based upon that census, states may gain or lose a representative in the U.S. House of Representatives. This mandate causes state legislatures or state re-districting commissions to reallocate the boundaries for the voting districts for state and federal elections. Since this re-drawing of boundary lines is highly political and subject to abuse by a dominant political party or ethnic group, the Courts are almost always called upon to ensure that both state and federal law has been followed in determining how votes are counted. U. S. Constitutional law requires the process give each voter equal voting power as much as possible in a non-discriminatory fashion.

Election cases involving re-districting are extra-ordinarily complex and require an ability to withstand political pressure to ensure a fair and legal outcome. It is easier to withstand the improper influence if you have a life appointment as a judge and less so if you have to be elected periodically. If you are a merit selected judge, the influence is greatly reduced to allow the proper decision to be made. If you must campaign and

5 Arizona Revised Statutes 16-649.

6 The United States Constitution in Article I, Section 3.

run in a contested election to retain your judicial position, it is next to impossible to avoid the influences.

Based upon my experience and training as a judge in a state system, I recommend that one determine a set of decision-making principles early as a judge and maintain this standard throughout your career as a judge. These would be:

1. Know and be aware of your biases while willing to select those disputes where you know you cannot be objective and fair to all parties and remove yourself from those cases.
2. Broaden your understanding of diverse cultures and disciplines by both academic and experiential (hands-on) training.
3. Cultivate your listening and awareness skills.
4. Understand that at all times you must be guided by the appropriate legal standards of both constitutional and legislative law.
5. Ask questions and seek input before making decisions.
6. Be willing to acknowledge mistakes and take corrective actions without regard to personal feelings.
7. Have the courage of your convictions; in other words, do not avoid difficult decisions and do not revisit or worry about your decisions once made.
8. Commit to apply the rule of law to your decision-making.

In summary, my recommendation to administrative judges or persons assigning political cases to judges for decision-making is to select an experienced judge with a background as diverse as possible and with a strong intuitive sense in evaluating cases. The judge selected should be a person comfortable with decision making as a process and one not likely to constantly re-evaluate decisions made.

NOTES:

1. PARTISAN JUSTICE: How Campaign Money Politicizes Judicial Decisionmaking in Election Cases). (In English)
2. Stanford Law Review, THE LONG SHADOW OF BUSH v. GORE, Judicial Partisanship in Election Cases, June 2016. (In English)
3. Donald J. Trump for President, Inc, et. al v. Kathy Boockvar, et. al. cv-02078-MWB Document 202 Filed 11/21/20; see also, Donald J. Trump for President, Inc., et. al. v. Secretary Commonwealth of Pennsylvania, et. al., 20-3371, filed 11/27/2020, United States Court of Appeals for the Third Circuit. (In English)
4. U.S. Constitution, Article I, Section 4. (In English)
5. Arizona Revised Statutes 16-649. (In English)
6. The United States Constitution in Article I, Section 3. (In English)

შეერთებულ შტატებში საარჩევნო დავებზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ერთი მოსამართლის გამოცდილება და დაკვირვება

კენეტ ფილდსი

არიზონას უზენაესი სასამართლოს მოსამართლე,
არბიტრი და შუამავალი,
სამართლის დოქტორი, კენტუკის უნივერსიტეტი

საპქანდო სიძვერები: სამართალი, კონსტიტუცია, არჩევნები

აშშ-ს ფედერალურ სასამართლოებსა და მრავალი შტატის სასამართლოში 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ არაერთ სასამართლო წარმოებაში ყურადღება გამახვილდა პარტიული საარჩევნო დავების თაობაზე არსებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე. მიუხედავად საჯაროობისა, შეერთებული შტატების სასამართლოებისთვის ეს არ წარმოადგენს უჩვეულო პროცესს. სასამართლოებში ყოველწლიურად მოითხოვება პარტიული პოლიტიკური დავების გადაწყვეტა. აღნიშნული სტატია განიხილავს შეერთებულ შტატებში ერთ-ერთი შტატის სასამართლოს მოსამართლის დაკვირვებას, გამოცდილებას, მოსაზრებებს და წარადგენს მიდგომებს პოლიტიკურად მგრძობიარე დავებში სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

როგორც დამკვირვებლებმა აღნიშნეს, აშშ-ს შტატებისა და ფედერალური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები 2020 წლის 3 ნომბრის არჩევნების შემდგომ, შესაბამისობაში იყო სამართლის უზენაესობის განმტკიცების მიმართულებით და არა პოლიტიკური პარტიის პოლიტიკის მხარდასაჭერის მხრივ. გადაწყვეტილებები იყო შესაბამისი მიუხედავად სხდომების თავმჯდომარე მოსამართლეთა პოლიტიკური აფილირებებისა, ასევე, გახლდათ აშშ-ის მოსახლეობის მოლოდინების შესაბამისი და ფართოდ აღიარებული.

საინტერესოა, რომ აშშ-ში 2020 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა გადაწყვეტილების შედეგების შეცვლის მიზნით 60-ზე მეტი სასამართლო საქმე შეტანილ იქნა ტრამპის სხვადასხვა ორგანიზაციის ან მისი მხარდამჭერების მიერ. ამ სასამართლო საქმეთა უმეტესობაში მოსამართლეები ექვემდებარებოდნენ გადარჩევის პროცედურას პარტიული

კენჭისყრის გზით. არც ერთი საქმე არ დაკმაყოფილდა. ავტორის აზრით, ეს მიუთითებს მოსამართლეების, როგორც შტატის, ისე ფედერალურ დონეზე, მტკიცე პოზიციას სამართლის უზენაესობის დაცვის კუთხით და არა ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტიის ან იმ ჯგუფების სასარგებლოდ, რომლებსაც სურთ გამოიყენონ უკანონო მეთოდები პოლიტიკური პოზიციების მოსაპოვებლად. პენსილვანიის შტატის ორ შემთხვევაში, რომელიც ამ სტატიაში მოგვიანებით იქნება განხილული, გადაწყვეტილებები დაიწერა პრეზიდენტ ტრამპის მიერ არჩეული და დანიშნული მოსამართლეების მიერ. ორივე სასამართლო გადაწყვეტილებამ უარყოფითი გავლენა იქონია ყოფილი პრეზიდენტი ტრამპისთვის და არ დაუჭირა მხარი ტრამპის ორგანიზაციის/მხარდამჭერების მიერ წამოჭრილ მოსაზრებებს.

2020 წლის არჩევნებში, აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებამდე პერიოდში, სამართლის მკვლევრებმა ეჭვქვეშ დააყენეს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმღების ნეიტრალიტეტი. 2005-2014 წლებში საარჩევნო საქმეების კვლევა, რომელიც მოკლედ არის განხილული ინტერნეტსტატიაში American Constitution Society, ჯონა შეპარდისა და მაიკლ ს. კანგის ავტორობით, გამოვლინდა სტატისტიკა, რაც წინასწარმეტყველებს ნაწილობრივ განსხვავებულ შედეგებს¹. რამდენადაც საარჩევნო დავებზე სამართალწარმოება განსაკუთრებულად გაიზარდა 2000 წლის შემდეგ, კვლევაში დაისვა კითხვა თუ რამდენად იღებენ მოსამართლეები ამ პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეებზე გადაწყვეტილებებს პარტიული ლოიალურობის გათვალისწინებით, თუ ხელმძღვანელობენ საქმის გარემოებებით².

1 (Partisan Justice: How Campaign Money Politicizes Judicial Decisionmaking in Election Cases).
2 Stanford Law Review, The Long Shadow of Bush v. Gore,

ამ სტატიაში აღნიშნულია, რომ წელიწადში შტატის სასამართლოები განიხილავენ 100 მილიონამდე საქმეს, მაშინ როდესაც აშშ უზენაესი სასამართლო განიხილავს დაახლოებით 100 საქმეს იმავე პერიოდში და, ამასთანავე, შტატის მოსამართლეების 90% არის არჩეული. კვლევამ აჩვენა შემდეგი:

1. მოსამართლეები მხარეთა დავაში უპირატესობას ანიჭებენ მოსარჩელებს საკუთარი პარტიიდან;
2. კამპანიის დაფინანსება აუარესებს პარტიულ ქცევას;
3. მოსამართლეები ნაკლებად არიან პარტიულნი, როდესაც მათ არ სჭირდებათ ხელახალ არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურების წარდგენა;
4. პარტიული გადაწყვეტილების მიღების პრობლემა, დროთა განმავლობაში, უარესდება.

ავტორი ნაწილობრივ ეთანხმება ამ კვლევის შედეგებს და პროფესორ კანგისა და შეპარდის მიერ გამოტანილ დასკვნებს, კერძოდ იმას, რომ მოსამართლეები, რომლებსაც არ უწევთ მიიღონ მონაწილეობა პარტიულ არჩევნებში, ნაკლებად არიან პარტიულნი და რომ საარჩევნო სამართალწარმოება იზრდება შეერთებულ შტატებში. ეს თანხვედრა არის ექსპერიმენტული და არ ემყარება რაიმე სტატისტიკურ კვლევას.

ეს ნაშრომი ემყარება ჩემი, როგორც არიზონას შტატში საარჩევნო საქმეების თავმჯდომარე მოსამართლის დაკვირვებებსა და გამოცდილებას. საქმის სირთულიდან და განსახილველი პოლიტიკური პოზიციის მნიშვნელობიდან გამომდინარე პოლიტიკური გავლენა და საზოგადოებრივი ზეწოლა ნამდვილად არსებობს მოსამართლეებზე, რომლებიც საარჩევნო დავებს წყვეტენ.

შეერთებულ შტატებში სასამართლო სისტემის ზოგადი მიმოხილვა დაეხმარება მკითხველს. სასამართლოები შეერთებული შტატებში, ზოგადად, იყოფა ფედერალურ, შტატის, ტერიტორიულ და თემის სასამართლოებად. არსებობს სხვა სპეციალური სასამართლოები, რომლებსაც აღნიშნულ ნაშრომში არ შევხებით, მაგალითად, სამხედრო სააპელაციო სასამართლოები.

აშშ-ის (ფედერალური) მოსამართლეებს უვადოდ ან მათ გადადგომამდე, ნიშნავს პრეზიდენტი, და ამტკიცებს სენატი. დანიშვნის შემდეგ აღნიშნული ფედერალური მოსამართლეები არ ექვემდებარებიან ხელახალ არჩევას ან გა-

დანიშვნას. არსებობს ფედერალური სასამართლოები თითოეულ შტატსა და ტერიტორიულ ერთეულში. თითოეულ შტატს შესაძლებელია ჰქონდეს ერთი ან მეტი რაიონი. ფედერალური სასამართლოების იურისდიქცია ვრცელდება იმ დავებზე, რომლებიც რეგულირდება ფედერალური კანონით ან აშშ-ს კონსტიტუციით. მაგალითად, პენსილვანიაში აშშ-ს რაიონული მოსამართლის გადაწყვეტილება პენსილვანიის შტატის მდივნის წინააღმდეგ პრეზიდენტ რამპის საქმესთან დაკავშირებით გამოტანილ იქნა პენსილვანიის რაიონის შუაგულში, რომელიც მდებარეობს პენსილვანიის შტატში³.

შეერთებულ შტატებში მოქმედებს ფედერალური სასამართლოებისგან გამოყოფილი ცალკეული, შტატის დამოუკიდებელი სასამართლოები რომელსაც, ჩემ მსგავსად, ხელმძღვანელობენ, მოსამართლეები. შტატის სასამართლოს მოსამართლეს, როგორც წესი, აქვს იურისდიქცია ყველა იმ დავაზე, რომელიც წარმოიშობა იმ შტატში, რომელშიც ისინი არიან გამწესებულნი.

შტატის მოსამართლედ გამწესება ხდება მრავალი სხვადასხვა მეთოდით. აშშ-ში 50 შტატი და 50-ზე მეტი დანიშვნის მეთოდია. მოსამართლეთა უმეტესობა შტატის სასამართლოებში აირჩევა პარტიულ არჩევნებში და, ზოგადად, შტატის მოსამართლე პერიოდულად უნდა იქნეს გადანიშნული.

ჩემს შემთხვევაში, არიზონაში მოქმედებს მოსამართლეთა შერჩევის ორი მეთოდი. ჩვენ გვაქვს 15 ოლქი და ამ 15 ოლქიდან 12-ში მოსამართლემ მონაწილეობა უნდა მიიღოს არჩევნებში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და მიიღოს ხმების უბრალო უმრავლესობა, რათა განაგრძოს სამოსამართლო საქმიანობა. მოსამართლეობის კანდიდატმა საარჩევნო კამპანიის სახსრები უნდა მოაგროვოს, როგორც წესი, ადვოკატებისგან, რომლებიც სასამართლოში გამოდიან.

აღნიშნული 15 ოლქიდან სამ ოლქში და სააპელაციო სასამართლოებში, მოსამართლეებს ნიშნავს გუბერნატორი, სამოქალაქო ნომინაციის კომისიის მხირდან შერჩევისა და წარდგენის შემდგომ. გუბერნატორმა უნდა აირჩიოს მოსამართლე ამ სიიდან და არ შეუძლია უარყოს წარდგენილი პირების სია. მოსამართლეთა

3 Donald J. Trump for President, Inc, et. al v. Kathy Boockvar, et. al. cv-02078-MWB Document 202 Filed 11/21/20; see also, Donald J. Trump for President, Inc., et. al. v. Secretary Commonwealth of Pennsylvania, et. al., 20-3371, filed 11/27/2020, United States Court of Appeals for the Third Circuit.

შერჩევის ამ პროცესს განხილვის საფუძველზე შერჩევა ეწოდება. განხილვის საფუძველზე შერჩეული მოსამართლეები ვალდებული არიან კენჭი იყარონ გადანიშვნის პროცედურაში არაშეჭიბრებითობის საფუძველზე. არჩევნებში ამომრჩეველთა არანაკლებ 50%-მა უნდა დაამტკიცოს მოსამართლის არჩევა მეორე ვადით ოთხი წლით, ან ექვსი წლით – სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.

შეერთებული შტატების სხვა შტატებს აქვთ მოსამართლეთა განხილვაზე დაფუძნებული შერჩევის სისტემის სხვადასხვა ვერსია. 50-დან 16 შტატი იყენებს განხილვითი შერჩევის/შენარჩუნებითი გადანიშვნის ფორმას მოსამართლეთა პოზიციების შესავსებად.

აშშ-ს კონსტიტუცია თითოეულ შტატს უტოვებს უფლებას, რომ განსაზღვროს სენატორების, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლების არჩევის დრო, ადგილი და მიმდინარეობა⁴. რამდენადაც აღნიშნული განისაზღვრება შტატის მიერ, არსებობს 50 განსხვავებული სტანდარტი, რაც შედარებით ართულებს არჩევნების მოსყიდვას შეერთებულ შტატებში.

დამატებით, ორმოცდაათივე შტატმა და კოლუმბიის ოლქმა ინდივიდუალურად უნდა აირჩიოს ამომრჩეველები, როგორც ამომრჩეველთა კოლეგიის ნაწილი, აშშ-ს პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის ასარჩევად. შტატის მხრიდან საპრეზიდენტო ამომრჩეველთა თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა, მიუხედავად აშშ-ს კანონმდებლობით დადგენილი არჩევის მეთოდისა.

რამდენიმე მაგალითი ჩემი სამოსამართლო გამოცდილებიდან იმ საქმეებზე, რომელიც ეხებოდა საარჩევნო პროცესს მოიცავს ხმის მიცემის უფლებამოსილებას, თანამდებობისთვის კანდიდატად წარდგენას, ხმის მიცემის ადგილზე არსებულ დარღვევათა შემთხვევებსა და კანდიდატებისთვის ხმათა რაოდენობის განსაზღვრას.

კონკრეტული მაგალითისთვის, წარმოვიდგინოთ, რომ ერთი და იმავე პოზიციისთვის ორი კანდიდატი იღებს ზუსტად ერთსა და იმავე ხმას, შესაბამისად, უნდა იყოს მეთოდი ან გადაწყვეტილება, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს. წარსულში, მოსამართლეებს ჰქონდათ უფლებამოსილება არჩევნები გადაწყვიტათ მონეტის აგდებით ან სათამაშო ბანქოს 52 დასტიდან უმაღლესის ამოღებით. ახლა, კანონი გამოვლენისთვის ითვალისწინებს წილისყრას⁵.

მოსამართლეებმა ყოველ ათ წელიწადში ერთხელ უნდა გადაწყვიტონ კენჭისყრის ოქტების საზღვრები როგორც შტატის, ასევე ფედერალური არჩევითი პოზიციებისთვის. შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი მუხლის, მე-3 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უნდა ჩატარდეს ათ წელიწადში ერთხელ⁶, საიდანაც უნდა გამოიყოს კონგრესის თითოეული შტატის წარმომადგენლები. აღწერის საფუძველზე, შტატებმა შეიძლება მოიპოვონ ან დაკარგონ წარმომადგენელი აშშ-ს წარმომადგენელთა პალატაში. ეს ვალდებულება იწვევს შტატების საკანონმდებლო ორგანოების ან შტატების რაიონების განსაზღვრის კომისიების მიერ საზღვრების გადანიშნვას რაიონებში შტატისა და ფედერალური არჩევნებისათვის. რამდენადაც, აღნიშნულს, სასაზღვრო ხაზების ხელახლა გავლებას ძალზედ პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია და მართლსაწინააღმდეგოდ გამოიყენება დომინანტური პოლიტიკური პარტიის ან ეთნიკური ჯგუფის მიერ, სასამართლოებს ყოველთვის მოუწოდებენ, რომ ხმათა დათვლის განსაზღვრისას, უზრუნველყონ შტატისა და ფედერალური კანონმდებლობის დაცვა. აშშ-ს კონსტიტუციური კანონმდებლობა მოითხოვს, რომ პროცესის მიმდინარეობისას თითოეულ ხმის მიმცემს ჰქონდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თანაბარი ხმის მიცემის ძალა, არადისკრიმინაციული სახით.

საარჩევნო დავები, რომელიც მოიცავს ხელახალ გადანიშნვას არის განსაკუთრებულად კომპლექსური და მოითხოვს პოლიტიკური ზეწოლისგან გამკლავების უნარს, სამართლიანი და კანონიერი შედეგის უზრუნველყოფისთვის. მეტად მარტივია გაუმკლავდე არაჯანსაღ გავლენას თუ მოსამართლე დანიშნულია უვადოდ და ნაკლებადაა შესაძლებელი – თუ იგი უნდა იქნეს არჩეული გარკვეული პერიოდულით. თუ მოსამართლე განხილვის საფუძველზეა შერჩეული, გავლენა დიდად შეზღუდულია, რათა სწორ გადაწყვეტილების მიღებას შეუწყოს ხელი. თუ მოსამართლემ უნდა აწარმოოს კამპანია და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში სამოსამართლო პოზიციის შესანარჩუნებლად, თითქმის შეუძლებელია გავლენებისგან თავის დაღწევა.

ჩემს, როგორც შტატის მოსამართლის, გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, რეკომენდაციას ვუწევ, მოსამართლედ მუშაობის ადრეული პერიოდიდან, გადაწყვეტილების

4 U.S. Constitution, Article I, Section 4.
5 (Arizona Revised Statutes, 16-649).

6 The United States Constitution in Article I, Section 3.

მიღების პრინციპების განსაზღვრასა და ამ სტანდარტის შენარჩუნებას მოსამართლეობის მთელი კარიერის მანძილზე. ესენია:

1. იცოდეთ და აცნობიერებდეთ თქვენს პრეფერენციებს მაშინ, როცა გექნებათ სურვილი აიღოთ ის დავები, სადაც თქვენ იცით, რომ ვერ იქნებით ობიექტურები და სამართლიანები ყველა მხარის მიმართ, და აიცილეთ თქვენი თავი აღნიშნული დავების განხილვისგან;
2. გაათავსოთ თქვენი ცოდნა სხვადასხვა კულტურებისა და დისციპლინების შესახებ, როგორც აკადემიური, ასევე ექსპერიმენტული (პრაქტიკული) ტრენინგებით;
3. განავითარეთ მოსმენისა და გაცნობიერების უნარი.
4. გაითავსეთ, რომ ნებისმიერ დროს უნდა იხელმძღვანელოთ როგორც კონსტიტუციური, ასევე საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტებით;
5. დასვით შეკითხვები და მოიძიეთ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღებამდე;
6. იყავით შეცდომების აღიარებისა და გასაუმჯობესებელი მოქმედებების მოსურნენი პირადი გრძნობების გათვალისწინების გარეშე;
7. მოიკრიბეთ ძალა თქვენს მრწამსში; სხვა სიტყვებით, ნუ მოერიდებით რთულ გადაწყვეტილებებს და ნუ გადახედავთ ან იღვლევათ თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
8. განეწყვეთ, რომ იმოქმედოთ სამართლის უზენაესობაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დასკვნისას, ჩემი რეკომენდაცია ადმინისტრაციულ მოსამართლეებს ან იმ პირებს, რომლებიც ანაწილებენ პოლიტიკურ დავებს მოსამართლეებისთვის, გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, არის ის, რომ შეარჩიონ გამოცდილი მოსამართლე, რაც შეიძლება მრავალფეროვანი გამოცდილებითა და დავების შეფასებისას ძლიერი ინტუიციური შეგრძნებით. შერჩეული მოსამართლე უნდა იყოს პირი, რომელიც თავს კომფორტულად იგრძნობს გადაწყვეტილების მიღების, როგორც პროცესის ნაწილში და არ იქნება მიდრეკილი მუდმივად გადააფასოს გამოტანილი გადაწყვეტილებები.